სპორტიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 21 ივნისი 1994 № 29 (104) ფასი 50 000 კუპონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

A ჯგუფი

18 ივნისი	აშშ — შვეიცარია	1:1
18 ივნისი	კოლუმბია — რუმინეთი	1:3

რუმინეთი	1	1	0	0	3-1	3
აშშ	1	0	1	0	1-1	1
შვეიცარია	1	0	1	0	1-1	1
კოლუმბია	1	0	0	1	1-3	0

22 ივნისი	რუმინეთი — შვეიცარია	24.00
22 ივნისი	აშშ — კოლუმბია	03.30
26 ივნისი	აშშ — რუმინეთი	24.00
26 ივნისი	შვეიცარია — კოლუმბია	24.00

B ჯგუფი

19 ივნისი	კამერუნი — შვედეთი	2:2
20 ივნისი	ბრაზილია — რუსეთი	2:0

ბრაზილია	1	1	0	0	2-0	3
შვედეთი	1	0	1	0	2-2	1
კამერუნი	1	0	1	0	2-2	1
რუსეთი	1	0	0	1	0-2	0

24 ივნისი	ბრაზილია — კამერუნი	24.00
24 ივნისი	შვედეთი — რუსეთი	03.30
28 ივნისი	რუსეთი — კამერუნი	24.00
28 ივნისი	ბრაზილია — შვედეთი	24.00

C ჯგუფი

17 ივნისი	გერმანია — ბოლივია	1:0
17 ივნისი	ესპანეთი — კორეა	2:2

გერმანია	1	1	0	0	1-0	3
ესპანეთი	1	0	1	0	2-2	1
კორეა	1	0	1	0	2-2	1
ბოლივია	1	0	0	1	0-1	0

21 ივნისი	**გერმანია — ესპანეთი**	**24.00**
23 ივნისი	კორეა — ბოლივია	03.30
27 ივნისი	ბოლივია — ესპანეთი	24.00
27 ივნისი	გერმანია — კორეა	24.00

D ჯგუფი

21 ივნისი	**არგენტინა — საბერძნეთი**	**20.30**
21 ივნისი	**ნიგერია — ბულგარეთი**	**03.30**
25 ივნისი	არგენტინა — ნიგერია	24.00
26 ივნისი	ბულგარეთი — საბერძნეთი	20.30
30 ივნისი	საბერძნეთი — ნიგერია	03.30
30 ივნისი	არგენტინა — ბულგარეთი	03.30

E ჯგუფი

18 ივნისი	იტალია — ირლანდია	0:1
19 ივნისი	ნორვეგია — მექსიკა	1:0

ნორვეგია	1	1	0	0	1-0	3
ირლანდია	1	1	0	0	1-0	3
იტალია	1	0	0	1	0-1	0
მექსიკა	1	0	0	1	0-1	0

23 ივნისი	იტალია — ნორვეგია	24.00
24 ივნისი	მექსიკა — ირლანდია	20.30
28 ივნისი	ირლანდია — ნორვეგია	20.30
28 ივნისი	იტალია — მექსიკა	20.30

F ჯგუფი

19 ივნისი	ბელგია — მაროკო	1:0
20 ივნისი	ჰოლანდია — საუდის არაბეთი	03.30

ბელგია	1	1	0	0	1-0	3
ჰოლანდია	0	0	0	0	0-0	0
საუდის არაბეთი	0	0	0	0	0-0	0
მაროკო	1	0	0	1	0-1	0

25 ივნისი	ბელგია — ჰოლანდია	20.30
25 ივნისი	საუდის არაბეთი — მაროკო	20.30
29 ივნისი	მაროკო — ჰოლანდია	20.30
29 ივნისი	ბელგია — საუდის არაბეთი	20.30

WorldCup USA 94

01.45. ნუხანდელი თამაში

ბრაზილია — რუსეთი 2:0

ბრაზილიის მეტოქეს რუსეთის ნაკრებად პირობითად თუ მოიხსენიებს კაცი: გუშინ იქ ოთხი უკრაინიდან გამოტაცებული თამაშობდა (ნიკიფოროვი, ტერნავსკი, ციმბალარი, იურანი), თითო — ყოფილი ბელორუსი (გორლუკოვიჩი) და „უზბეკი" (პიატნიცკი). კიდევ ერთი უკრაინელი, ონოპკო შესარჩევ მატჩებში მიღებული გაფრთხილების გამო არ თამაშობდა, „საქართველოს წარგზავნილი" თეთრაძე კი სათადარიგოთა სკამზე იჯდა, თუმცა რუსებს გუშინ ომარი, კი არა, მამა-ღმერთიც ვერ იხსნიდა: ამ ჩემპიონატზე პირველად მოხდა, რომ ერთმა გუნდმა ულაპარაკოდ აჯობა მეორეს. არადა, ბრაზილიასაც პრობლემები გასჩენია: ბოლო საკონტროლო მატჩში ტრავმირებულმა მცველმა რიკარდო გომეშმა თავისი 4 ნომერი ვინმე რონალდოს გადაბარა და შინ გასწია, თუმცა რუსებმა მეტოქის დაცვის შემოწმება ვერ შეძლეს — ტაფარელმა ერთადერთი, ციმბალარის დარტყმა აიღო და თან ბურთი ისე ეონგლეირივით შეათამაშა, რომ ალბათ მეტოქეს კარში დარტყმის სურვილი გაუქრო.

ისევე როგორც ამას წინათ, „ბარსელონა" — „სპარტაკის" მატჩში, პირისპირ რომარიო და ტერნავსკი შეიყარნენ და ბრაზილიელმა კვლავ სიქა გაძარი „აპეკუნს" — ერთი გოლი და პენალტი მიითვალა. მეორე თავდამსხმელმა, ბებეტომ პასების მიმწოდებლობა ითავა. თანაგუნდელთა რამდენიმე უხუსტო დარტყმის შემდეგ ლეონარდომ აიწყვიტა და ბრაზილიელთა სტაჟიანი მარცხენა მცველის, ბრანკოს არყოფნაც შეუმჩნეველი გახდა. ციმბალარი, რომელიც მარცხენა მცველიც იყო და ნახევარმცველიც, მარტო უკეთ აკონტროლებდა თავის ფლანგს, ვიდრე კარპინი და გორლუკოვიჩი ერთად მარჯვენას — ზინიოს შემწეობით ლეონარდომ ამ ორს ბდღვირი ადინა, ტაიმის შუაში კი სამი კუთხურიც დაიმახურა. მესამე ბებეტომ მოაწოდა, რომარიომ ტერნავსკის დასწრო და ბურთი ფეხის წვერით კარში შეაგორა, მეორე ტაიმის დასაწყისში კი ერთხელაც აფორთხიალა მეტოქე, პენალტი აკიდა და მანამდე უჩინარ რაისაც მისცა თავის ორმაგად გამოჩენის შანსი: ამან ჩემპიონატის პირველი პენალტიც გაიტანა და ბრაზილიელთა 150-ე გოლიც მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალური ეტაპის 67-ე თამაშში.

დარჩენილ დროში ხარინ[illegible] ილბლიანი ნახტომის გარდ[illegible] მოხდა: ცოცხალ-მკვდარი [illegible] იდან თეთრი ელექტრობა[illegible] მაგრამ ორიოდ წუთში უკ[illegible] და შესაცვლელად გამზადე[illegible] გაუცრუა.

[illegible] 3 ჯგუფი,
სან-ფრანსისკო, [illegible]

ბრაზილია: ტაფარელი, ეორ[illegible]
როშა (ალდაირი 74), მა[illegible]
ლეონარდო* მაურო სილვა, [illegible]
85), ზინიო, რაი, ბებეტო, რო[illegible]
რუსეთი: ხარინი, გორლუკოვიჩი, ნიკიფ[illegible]
ხლესტოვი, ტერნავსკი, ციმბალარი, კარ[illegible]
კუზნეცოვი, პიატნიცკი, რადჩენკო (ბ[illegible]
დიუკი 77), იურანი (სალენკო 56)

1:0 რომარიო (27)
2:0 რაი (53 პ)

გაფრთხილება: ნიკიფოროვი (61), ხლესტ[illegible]
(65), კუზნეცოვი (78)
მსაჯი: ლიმ კი ნონი (მავრიტანია)
სარბიელის რჩეული: ლეონარდო

ჩემპიონატის პირველი გოლი იურგენ კლინსმანმა გაიტანა გერმანია - ბოლივიის მატჩის 61-ე წუთზე, რაც მოულოდნელი სულაც არ ყოფილა...

...გასაკვირი ჯანლუკა პალიუკას მიერ გაშვებული გოლი იყო იტალია - ირლანდიის თამაშის მეთორმეტე წუთზე: «რასაკვირველია შევცდი, მაგრამ რეი ჰავთონის დამტყმის მსგავსი ცხოვრებაში არ მინახავს»...

მსოფლიო ჩემპიონატის ცხელ-ცხელ ამბებს „სარბიელზე" ყოველდღიურად გამცნობთ, თუ ხელი გარეშე პიროვნებამ არ [illegible]

დიდი მათეუსი

გერმანია 1:0 ბოლივია

1. C ჯგუფი, I ტური
ჩიკაგო, 17 ივნისი

გერმანია: ილგნერი, ეფენბერგი, მათეუსი, კოლერი, ბერთოლდი, ბრემე, პესლერი (შტრუნცი 82), მიოლერი, ზამერი, რიდლე (ბასლერი 60), კლინსმანი

ბოლივია: ტრუკო, ფერიმპა, კინტეროსი, მელგარი, სანდი, ბორხა, სორია, კრისტალდო, ე. სანჩესი, ბალდივიესო (მორენო 66), რამალიო (ეჩეკერი 79)

1:0 კლინსმანი (61)

გაფრთხილება: კოლერი (7), სორია (37), ბალდივიესო (39), მიოლერი (54), ბორხა (67), მელგარი (89)
გაძევება: ეჩეკერი (82)
მსაჯი: ა.-ბ. კარტერი (მექსიკა)

ჩემპიონატის დასაწყისი ტრადიციული გამოდგა: საკმაოდ უინტერესო გახსნის ცერემონიალის მდორე რიტმი ფეხბურთელებსაც გადაედოთ და მსოფლიოს ჩემპიონებმა უემოციოდ, თუმცა საკმაოდ დამაჯერებლად სძლიეს ბოლივია.

WorldCupUSA94

სარბიელის რჩეული:
ლოთარ მათეუსი
(გერმანია — ბოლივია)

გერმანიამ პირველი საფრთხე უკვე მე-8 წუთზე შეუქმნა მეტოქეს: მარკუჯნა მცველად მოთამაშე ეფერბერგმა გრძელი პასი მიაწოდა საჯარიმოში კლინსმანს და ამან თავით დაუგდო რიდლეს, რომელსაც ბოლივიის ლიბერო კინტეროსმა დასწრო. გერმანელები ერთთავად ცენტრიდან უტევდნენ: რიცა შეატყვეს, რომ დაბალ პასებს კინტეროსი და სტოპერი მელგარი იოლად გაუმკლავდნენ, მაღალი აბრაგანების დაკიდება ამოიჩეჩეს, თუმცა ვერც ამით იხეირეს — კლინსმანი და რიდლე ყველა ბურთს კი იგებდნენ და თავით უკან აბრუნებდნენ, მაგრამ ზამერის, მიოლერის და პესლერის თითქმის ყველა დარტყმა კარს ზემოთ გადაცდა. არადა, სულ ორმა ფლანგურმა შეტევამ ბევრად მეტი სარგებელი მოიტანა: მიოლერის მარცხნიდან მოწოდებულის შემდეგ ბოლივიის მეკარე ტრუკომ რიღლეს თავრი მოიგერია, პესლერმა კი მარჯვენაფლანგური დრიბლინგი ბალდივიესოს ყვითელ ბარათად დაუსვა.

არც ბოლივია გამძღვა მთლად ჯაბანი, პირველ ტაიმში ერთ-ორჯერ ოთხიოდე პასის გაგრძელებაც მოახერხა მოედნის ცენტრში, 30-ე წუთზე კი თავდამსხმელებმა, ბალდივიესომ და რამალიომ იგივე მეტოქის საჯარიმოშიც გაბმეორეს, კარში დარტყმა კი ერვინ „პლატინი“ სანჩესს დანებებს, რის შემდეგაც ილგნერიც გვარიანად გაისარჯა.

თამაშის ბედი დიდმა მოთამაშემ გადწყვიტა. გერმანიის კაპიტანმა და ლიბეროდ მათეუსმა დაცვაში ორი სტოპერის, კოლერისა და ბერთოლდის შეწყვნით ყველა საქმე მოგვარა, უხეიროდ მოთამაშე ნახევარდაცვასაც (ჰესლერსა და მიოლერს კიდევ ზამერი ხელობდა) წაეხმარა, ერთხელ კარში დასარტყმელადაც მოიცალა და მელგარს კინლამ ხელიც გაფრთხობინა, მეორე ტაიმში კი გოლიც გამოაცხო: ცენტრის ხაზიდან მისი მაღალი პასის შემდეგ ბოლივიამ ხელოვნური ოფსაიდი მოიწადინა, პესლერი გარენებულ მეკარეს შეატყო, კლინსმანმა კი პესლერის მეკრძით გასწორებული ბურთი მიითვისა და ცარიელ კარში შეაგორა.

ბოლივიამ მეორე ტაიმში ორჯერ შეაღწია მეტოქის საჯარიმოში და ორჯერვე თავი შეირცხვინა მარცხენა ნახევარმცველმა კრისტალდომ: გოლამდე „პლატინის“ პასი ვერ შეეშნოვა და აცილა, გოლის შემდეგ კი, 62-ე წუთზე, თავისი კაპიტნის, ბორხას გადაცემა ჩააფლავა.

მერე ტემპმა ოდნავ იმატა და გერმანელები გაბატონდნენ, თუმცა არც გოლის გაბატონად შოუკლავთ მაინდამაინც თავი და აღარც მეტოქისთვის მიუცია შანსი.

ბოლივიას ისტა დარჩენოდა, თავიანთი ჯილა, ტრავმირებული მარკო ანტონიო ეჩეკერი გამოეშვა მოედანზე, რომელმაც იქ სამი წუთი დაჰყო: მათეუსს წაეკინკლაკა, იდაყვი მოუღერა, მსაჯისგან წითელი ბარათი მიიღო და სათადარიგოთა სკამს დაუბრუნდა.

მამუკა ჩიხლაძე

სამართალმა ბრინჯი ჭამა

ესპანეთი 2:2 კორეა

2. C ჯგუფი, I ტური
დალასი, 17 ივნისი

ესპანეთი: კანისარესი, ფერერი, აბელარდო, ალკორტა, სერხი, ნადალი, იერო, გერერო (კამინერო 46), გოიკოეჩეა, ლუის ენრიკე, სალინასი (ფელიპე 62)
კორეა: ინ იუნ ჩოი, მიუნ ბო ხონი, პან კიუნ კიმი, იუნ ლი ჩოი, ჩუნ ბა პარკი, ხონ გი შინი, იუნ ჩეონ ლი, ჩუნ იუნ ნო (სეკ ჩუ ხა 74), სენ ხონ ხვანი, ჩუნ სენ კიმი (ჩუნ ვონ სე 58), ჩუნ ვუნ კო

1:0 სალინასი (51)
2:0 გოიკოეჩეა (56)
2:1 მიუნ ბო ხონი (85)
2:2 ჩუნ ვონ სე (90)

გაფრთხილება: ლუის ენრიკე (21), ჩუნ სენ კიმი (34), იუნ ილ ჩოი (60), კამინერო (71)
გაძევება: ნადალი (23)
მსაჯი: ჯ. მიკელსენი (დანია)

ის დრო, როცა თერთმეტ კორეელს შვიდი-რვა ესპანელიც მოუგებდა, კარგა ხანია მოკვდა, მაგრამ საფეხბურთო ელიტა ამას ძნელად ეგუება. პარასკევის მატჩის 56-ე წუთზე გოიკოეჩეას თაურით ანგარიში ორამდე გაიზარდა და იმ მომენტში ბევრმა აზიელთა მანამდე ნაჩვენები ფრიად გააზრებული თამაში სტარტისთვის დამახასიათებელ ფაციფუცადღა ჩათვალა, თუმცა კორეელთა მწვრთნელს ხო კიმს, ვისაც გერმანული ფეხბურთის მოტრფიალედ თვლიან, ეტყობა თავის კუმირების მთავარი თვისება — ბოლო წუთამდე თამაში ერთობ კარგად შეუსწავლია შეგირდთათვის და მათაც ბოლო ხუთ წუთში მანამდე მშვენივრად მოთამაშე კანისარესს ორი გოლი შეუგდეს. ფეხბურთში ხშირად ხდება უსამართლობა, მაგრამ ამ თაშის შედეგი სწორედ რომ ასეთი უნდა ყოფილიყო — ბრინჯზე გაზრდილი კორეელები ნამდვილად იმსახურებდნენ ქულას.

ეს გუნდები ზედიზედ მეორედ შეხვდნენ მსოფლიო ჩემპიონატებზე. 1990 წელს იტალიაში ესპანელებმა მიჩელის ჰეთ-

სარბიელის რჩეული:
ხოსე ლუის პერეს კამინერო
(ესპანეთი — კორეა)

თრიქის წყალობით 3:1 იმარჯვეს, მაგრამ ამჟამად მიჩელი 22 კაცად სიამიც ვერ მოხვდა და საერთოდ, იმ შემადგენლობიდან პარასკევს მხოლოდ სალინასი თამაშობდა. მის იმედზე მყოფი ევროპელები პირველ ტაიმში ვერაფრით გამოირჩეოდნენ და მხოლოდ ტაიმის ბოლო წუთზე გაითამაშეს სწრაფი კომბინაცია, რომელიც იეროს ოდნავ უხუსტო დარტყმით დამთავრდა. ამ დროს ესპანელები უკვე ათნი თამაშობდნენ — 23-ე წუთზე გუნდი მიატოვა კაპიტანმა ნადალმა (რა თქმა უნდა, არა თავისი ნებით), ვინც მეკარესთან პირისპირ გამსვლელი ჩუნ ვუნ კო წაიქცია. კორეელებს მანამდეც ჰქონდათ ორიოდ საგოლე მომენტი, ამის შემდეგ კი იგივე კომ კანისარესთან მარტო დარჩენილმა ბურთი მეკარეს გაარტყა.

შესვენებაზე კლემენტემ გერერი კამინეროთი შეცვალა და ამან ამჟამად გამოასწორა ჯგუფის ერთ-ერთი ფავორიტის თამაში. სწორედ მადრიდის „ატლეტიკოს“ ნახევარმცველის დამსახურება იყო, ესპანელები ორი ბურთით რომ დაწინაურდნენ. კორეელებიც თითქოს აღარაფრის გამკეთებლები იყვნენ, მაგრამ მათ ფერერი წაეხმარა. 85-ე წუთზე მან უხეშად ითამაშა საკუთარ საჯარიმოსთან და ისევე როგორც ოთხი წლის წინ, კორეელებმა ამჯერადაც გაიტანეს საჯარიმო დარტყმა, ოღონდ ახლა ბურთი კედელში მდგომ პეტლარდოს მოხვდა და სწორედ ამ რიკოშეტმა შეაცდინა კანისარესი. გოლმა პანიკაში ჩაგდო გამოცდილი ესპანელები და დარჩენილ დროში ბურთს აუტებშიღა იგერიებდნენ. ორიოდ წარუმატებელი შეტევის შემდეგ აზიელებმა მაინც მიაღწიეს საწადელს — პირველი გოლის ავტორმა მიუკ ბონ ხონმა ზუსტი პასი მისცა შემცვლელად გამოსულ ჩუნ ვონ სეს და მანაც მართლაც რომ ოსტატურად დაარტყა. ამ დროს სტადიონის საათი, ისევე როგორც პარიზში კოსტადინოვის ცნობილი გოლის დროს, 89.59-ს აჩვენებდა.

ზურაბ მეძველია

რა დროს დიეტაა...

აშშ 1:1 შვეიცარია

3. A ჯგუფი, I ტური
დეტროიტი, 18 ივნისი

აშშ: მეოლა, სობერი, ლალასი, ბალბოა, კალიჯური, დული, კოიმანი, პარტი, რამოსი, ვინალდა (ვეგერლე 60), სტიუარტი (ჯოუნსი 81)
შვეიცარია: პასკოლო, პოტიგერი, კენტენი, პერი, გაიგერი, ბრეგი, სუტერი, ორელი, ბიკელი (სუბია 73), სფორცა (ვისი 77), შაპუიზა

0:1 ბრეგი (39)
1:1 ვინალდა (45)

გაფრთხილება: პერი (27), სუბია (87), პარტი (89)
მსაჯი: ფ. ლამოლინა (არგენტინა)

ბედნიერი ხალხია ამერიკელები: რაც სხვებს, ბავშვობაში ეზო-ქუჩებში ბურთაობით მუხლებგადატყავებულებს, უკვე სასლში გასაჯდომიათ, ამათ, თავიანთ გიგანტურ სტადიონებზე სასეიროდ მოსულებმა და ჩვეული კომფორტით მსხდომებმა, შინ მირთმეული მსოფლიო ჩემპიონატით ახლაღა უნდა ისწავლონ, თანაც, თითქოს მთელ დუნიას საქმე გამოლეოდეს და ისღა აღარდებდეს, ოღონდ და რამენაირად შტატებსაც მოვაწონ-შევაყვაროთ ის ფეხბურთი, ბებერი ევროპა საუკუნეზე მეტი ხანია რომ მისდევს და იბერო-ამერიკაში კი სულაც მეორე რელიგიად ქცეულა.

რა გამოვა ფიფას ამ ნამაჭანკლარიდან, არავინ იცის, თავისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობით რომის პაპებისა და ცხონებული გენსეკების სადარ დოქტორ აველანეის წყალობით კი იმასაც მოვესწარით, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის შეხვედრა ამერიკული ფეხბურთისგან „ნათხოვარ“ მთლიანად გადხურულ სტადიონზე ტარდება. „ერ კონდიშენსაც“ რომ ემუშავა, ეს მატჩი იქნებ XXI საუკუნისადაც შეერაცხათ ეფექტური შედარებების მოყვარულ იქაურ თავმომწონე ჟურნალისტებს, მაგრამ ამ ტექნიკურ-არქიტექტურულ შეფასებაში ფეხბურთში ჭიპმოჭრილი ხალხი აუცილებლად ჩაქსოვდა გვარიან ირონიას — შეხვედრა ერთობ ჩვეულებრივი, „მრავალჯერ ნანახი“ და საკმაოდ დიეტური გამოდგა. დიეტური იმიტომ, რომ ამ მატჩში არ იყო ის „რაღაც“, ის მუღამი, რომლის მოლოდინი მუდამ აქვს მსოფლიო ჩემპიონატის შემყურე გულშემატკივარს. გაცვლილი, თითქმის ტყუპისცალებივით მგვანი გოლები და შედეგის თანაბრობა ყველაზე ზუსტად ახასიათებს მატჩს, რომელშიც სხვაც ბევრი რამ გაიცვალა — ვეულისხმობთ კარგად დასწავლილ ტაქტიკურ სვლებსა და ტექნიკურ ილეთებს, რომელთა ბეჯითი შესრულებით მეტოქეებმა არა ერთი და ორი მომენტი შეუქმნეს ერთმანეთს, რითაც დიდ აღტაცებაში მოიყვანეს ამერიკელი მაყურებელი, კუთხურისა და აუტის გარჩევას ახლაღა რომ სწავლობს. შვეიცარიელთაგან საუკეთესო წინა ხაზის მოთამაშე სუტერი გახლდათ და, ცხადია, არა მხოლოდ იმიტომ, რომ სწორედ მისი აქტიურობის წყალობით დაინშნა მისიანებისთვის ხელსაყრელი და იღბლიანი საჯარიმო. გაშვებული გოლი ამერიკელთაგან ფორვარდმა, ჩვენი ზაარბრიუკენელი ლეგიონერების გიორგი ქინქლაძის და მურთაზ შელიას თანაკლებელმა ვინლდამ გაქვითა, მაგრამ მათგან საქმის ცოდნით ყველას მაინც ფრიად ეგზოტიკური გარეგნობის მქონე წარმოშობით ბერძენი მცველი ლალასი სჯობდა.

სარბიელის რჩეული:
ალექს ლალასი
(აშშ — შვეიცარია)

თამაზ შენგელია

ბარეზი მარცხენა ფეხზე ამდგარა

ირლანდია 1:0 იტალია

4. E ჯგუფი, I ტური
ნიუ-იორკი, 18 ივნისი

ირლანდია: ბონერი, ირვინი, მაკგრათი, გეგი, ფილანი, პაპინი (მაკეტირი 68), შერიდანი, თაუნსენდი, სთონტონი, კინი, კოლი (ოლდრიჯი 89)
იტალია: პალიუკა, ტასოტი, ბარეზი, კოსტაკურტა, მალდინი, დონადონი, ალბერტინი, დ. ბაჯო, ვეანი (მასარო 46), რ. ბაჯო, სინიორი (ბერტი 84)

1:0 პაპინი (12)

გაფრთხილება: ფილანი (30), ირვინი (81)
მსაჯი: მ. ვან დერ ენდე (ჰოლანდია)

ირლანდია იმ დღეს იქნებ სულაც არ იყო მაინცდამაინც მოსაგებად განწყობილი, მაგრამ ფრანკო ბარეზის სარეკორი შეიფერა და გაიმარჯვა.

იტალიის კაპიტანმა მე-12 წუთზე უშნოდ მოიგერია ბურთი. მოიგერია კი არა და, პირდაპირ რეი ჰავთონს მიართვა და ამანაც ნაბიჯები საჯარიმოს ხაზიდან თავზე გადაუგდო მეკარე პალიუკას. ხუთ-

WorldCupUSA94

სარბიელის რჩეული:
ენდი თაუნსენდი
(ირლანდია — იტალია)

ოდ წუთში კოინი ალბათ აღარ ელოდა ბარეზის მეორე შეცდომას და დაბნეულმა უხეიროდ დაარტყა.

იტალიამ შესვენებამდე პირველად და უკანასკნელად 22-ე წუთზე მოახერხა ბურთის დაჭერა და რობერტო ბაჯოს დარტყმულს მაკგრათი გადაეფარა. თაუნსენდმა, შერიდანმა და კინმა ცენტრში ისე მოაწყვეს საქმე, რომ თავიანთ დაცვას — ირვინსა და ზანგთა სამეულს საკეთებელი თითქმის აღარაფერი დარჩათ — ეგ იყო, ხანდახან მეკარეს თუ გაუგორებდნენ ბურთს — უქმად ყოფნისგან რომ არ ჩაეთვლიმა.

იტალიის ნახევარდაცვაში რობერტო ბაჯო იშვიათად თუ გაიფაფხურებდა, მარჯვნივ დონადონი საერთოდ არ ჩანდა, ვეანიმ კი სულ ერთხელ მიიღო ბურთი და აკი შესვენების შემდეგ მის ნაცვლად მეორე თავდამსხმელი, მასარო შემოიყვანეს, რომელიც სხვებივით ბერავდ გამოიყურებოდა. არიგო საკმ ორი თავდამსხმელით თამაში მაინც ვერ გაბედა და სინიორი ვეანის ადგილზე მარცხენა ნახევარმცველად გამწესა. სამაგიეროდ, წინ წაიწია დინო ბაჯომ და სხვებზე კარგადაც ითამაშა.: 52-ე წუთზე, ბონერმა თამაშში პირველი ბურთი რომ მოიგერია, სწორედ დინოს დარტყმული გახლდათ, მერე ერთხელ დონადონისაც დაარტყმევინა, ორჯერ კი ეგებ გოლიც გაეტანა, საჯარიმოში ირვინსა და ბებს რომ არ ევაჟკაცათ. 65-ე წუთზე ბონერმა ალბერტინის დარტყმა აიღო და იტალია მთლად გატყდა: ბარეზის მორიგი სარეკორის შემდეგ ჰავთონმა სახიფათოდ დაარტყა და მოედანი ვალმოხდილმა დატოვა, მერე შერიდანმა ახლოდან ძელს მოახვედრა და 77-ე წუთზე თაუნსენდის თაური პალიუკამ აიღო. ეს იყო და ეს — ზანტად და უკიდოდ მოთამაშე იტალიამ საბოლოო შტურმის მოწყობაც ვერ მოახერხა.

მამუკა ჩიხლაძე

ჰაჯური პასებით და დარტყმით

რუმინეთი 3:1 კოლუმბია

5. A ჯგუფი, I ტური
ლოს ანჯელესი, 18 ივნისი

რუმინეთი: სტელია, პეტრესკუ, ბელოდედიჩი, ბიბალი, პოდანი, პოპესკუ, დუმიტრესკუ (შეიმენი 88), ლუპესკუ, მუნტიანუ, გეორგე, რადუჩიუ (პაპურა 90)
კოლუმბია: კორდობა, ერერა, ესკობარი, ბერეა, პერესი, რინკონი, ალვარესი, გომესი, ვალდერამა, ასპრილია, ქალესია

1:0 რადუჩიუ (15)
2:0 პაჯი (34)
2:1 ალვარესი (72)
3:1 რადუჩიუ (86)

გაფრთხილება: ერერა (36), რადუჩიუ (39), ვალდერამა (54), ალვარესი (70)
მსაჯი: ჯ.-ბ. ალ-ბარეი (სირია)
„სარბიელის“ რჩეული: გეორგე პაჯი

გუნდებს არც თავდაკლული პრესინგისთვის მიუმართავთ და არც გიჟური ტემპით დაუწყიათ თამაში. რუმინელები მხალი და პროდანი თავიდანვე ვალენსიასა და ასპრილიას აედევნენ, ნახევარმცველები საჯარიმოს მისადგომებს კეტავდნენ, მცველთა დასახმარებლად გეორგე პაჯიც გვერიანად ირჯებოდა. წინ კი ფლორინ რადუჩიუ ჰყავდათ ტატოვებული. როგორც კი ბურთს ჩაიგდებდნენ, ისინი მოედნის შუაში პაჯის მოძებნიდნენ, რამდენიმე ნახევარმცველი კი რადუჩიუსთან ერთად მას შეტევის გაგრძელების სხვადასხვა ვარიანტს სთავაზობდა. თავიანთ შეტევებს კოლუმბიელებიც მეათე ნომრის, კარლოს ვალდერამას პასებით იწყებდნენ. შეტევის მოწყობაში მას აქტიურად ეხმარებოდა რინკონი. პირველ თხუთმეტ წუთში გუნდებმა რამდენჯერმე „უწჩხლიტეს“ ერთმანეთს, მე-15 წუთზე კი ცენტრს გადაცილებულმა პაჯიმ რადუჩიუს ჩაწოდა, ფორვარდმა, რომლისთვისაც სამ მეტოქეს შეძლო ხელის შემლა, საჯარიმოში ორი შებებით დაამუშავა ბურთი და მეკარისგან მარცხენა კუთხეში შეაგდო. გოლმა გუნდების შემდგომი ტაქტიკა ლოგიკურად გამოკვეთა. კოლუმბიელებმა ანგარაშის გასაქვითად შეტევა დაიწყეს, მათმა ევროპელმა მეტოქემ კი კონტრშეტევის მახეთა დაგებას მიაყო ხელი. 22-ე წუთზე საუცხოოდ ითამაშა რუმინელთა მეკარემ სტელიამ, რომელმაც ასპრილიას ახლოდან დარტყმული მოიგერია. ცოტა ხანში ოსკარ კორდობას მოუწია პაჯის დაახლოებით ოცდაათი მეტრიდან „ნსროლი ყუმბარის“ მოგერიება, მაგრამ ვერაფერი გაწყო 34-ე წუთზე, როდესაც რუმინელთა მთავარმა მოქმედმა პირმა მუნტიანუსგან მარცხენა ფრთაზე პასი მიიღო. ავს თითქოს არაფერი მოასწავებდა, მაგრამ პაჯიმ შენიშნა, რომ კორდობა ოდნავ წინ იყო გამოსული და ბრწყინვალე დარტყმით, კალათბურთის სამქუალიანივით ბურთი კოლუმბიელთა კარის ბადეში ჩასვა. ექვსი წუთის შემდეგ საჯარიმოს მისადგომებიდან ვალენსიამ დაარტყა და კიდევ ერთხელ დაამტკიცებინა სტელიას, რომ შესანიშნავი მეკარეა. 43-ე წუთზე კოლუმბიელებმა კუთხური ჩაწოდეს. პერეას ჩაკიდულს ვალენსიამ თავრით რუმინელთა კარში მიუჩინა ადგილი.

მეორე ტაიმში კოლუმბიელებმა გამძაფრეს შეტევები, მაგრამ არც მეტოქე დაზვდათ პირდაღებული. აქტიურად ჩაერთო შეტევებში მარცხენა მცველი პერესი. ისედაც აქტიური რინკონი მთლად „გაზელდა“, ასპრილია და ვალენსიაც ახერხებდნენ აქა-იქ დახლტომოდნენ თავიანთ მეურვეებს, მაგრამ მათი შეტევები ან მეტოქეთა ურთიერთდაზღვევის სისტემას ეწირებოდა, ან დარტყმებს მეკარე იგერიებდა. რუმინელთა გარეკის შედეგად დროის ისეთი მონაკვეთებიც იყო, სამხრეთ ამერიკელთა მხოლოდ მონდომება. რომ შეიმჩნეოდა, ძომენტები კი არსად ჩანდა. შეხვედრა ისევ ჰაჯი — რადუჩიუს დუეტმა დაგვირგვინა. 88-ე წუთზე ჰაჯიმ მოედნის ცენტრიდან ჩაწოდა, რადუჩიუმ კი საჯარიმოში მეკარეს დასწრო და...

ილია გაბუნაშვილი

WorldCupUSA94

სარბიელის რჩეული:
გეორგე პაჯი
(რუმინეთი — კოლუმბია)

ფლორიდულმა სიცხემაც ვერ უშველათ...

ბელგია 1:0 მაროკო

6. F ჯგუფი, I ტური
ორლანდო, 19 ივნისი

ბელგია: პრიუდომი, გრიუნი, დე ვოლფი, ბოფინი (ბორკელმანსი 85), სმიდტსი, სტალენსი, ვან დერ ელსტი, შიფო, ნილსენი (ემერსი 53), დეგრიზი, ვეპერი
მაროკო: აზმი (ალაუი 87), აბდელაჰი, ალ პაჯრიუი, ნაიბეთი, თრიკი, ალ პადაუი (ბაჯჯა 68), აზუზი, ჰაბაბი, ჰაჯი, შაუში (ხამადი 82), დაუდი

1:0 დეგრიზი (11)

გაფრთხილება: ნაიბეთი (24), დაუდი (38), გრიუნი (82), აზუზი (90)
მსაჯი: ხოსე ტორესი (კოლუმბია)

ცხელ ფლორიდაში დღის პირველის ნახევარზე დაწყებულ მატჩში აფრიკელები

სარბიელის რჩეული:
მიშელ პრიუდომი
(ბელგია — მაროკო)

გაცილებით უკეთ გრძნობდნენ თავს, ვიდრე ევროპელები, თუმცა გამოცდილების და იღბლის წყალობით სამი ქულა მაინც ბელგიელებს ერგოთ.

პირველი თამაშში ბელგიელთა მეკარე პრუდომი ჩაერთო, თუმცა ეს მატჩის დასწყისში მაროკოელთა ერთადერთ შეტევა იყო. შიფოს ხელმძღვანელობით „წითელმა ეშმაკებმა" ფართოდ გაშალეს თამაში და მე-11 წუთზე „ანდერლეხტური" დეეტის წყალობით პირველი (და როგორც შემდგომ აღმოჩნდა, გადამწყვეტი) გოლიც შეაგდეს: ლუკ ნილისის მარჯვენა ფრთიდან ჩაწოდებულ ბურთს მარკ დეგრიზმა თავით გეზი კარისაკენ შეაცვლევინა. ათიოდ წუთში უკვე შიფო გაიტანდა თაურს, რომ არა გაბელგიებული ხორვატი იოსიპ ვებერი, ვინც იმ მომენტში შიფოზე წინ აღმოჩნდა და კარისაკენ მიმავალი ბურთიც ხელზე მოხვდა. მალე ნილისმა დაპანიკა მეტოქის დაცვა, თუმცა აზიმი არ აჰყვა მცველებს და ბურთი ფეხით მოიგერია. ამ მომენტიდან მაროკოელები მიხვდნენ, რომ მხოლოდ მეკარის იმედზე ყოფნა არ არგებდათ და წინ წავიწიეს, რაც როგორც გაჩინდა, საკმაოდ კარგად შეძლებიათ. ერთი კია: ინდივიდუალური ოსტატობა მათში გაცილებით მაღალ დონეზე დგას, ვიდრე გუნდური თამაში. პირველ ტაიმში მხოლოდ ერთხელ, 42-ე წუთზე გაითამაშეს მაღრიბელებმა ოთხპასიანი კომბინაცია, რომელიც რაშიდ დაუდის უძლიერესი დარტყმით დამთავრდა — ბურთმა ძელი შეაჯანჯარა.

მეორე ტაიმში ბელგიელებს ცოტა დაღლა დაეტყოთ, თუმცა მეტოქეს სწრაფ ტემპში მაინც აჰყვნენ. ერთადერთი კაცი, ვინც სწრაფ თამაშს ხელს უშლიდა, კოლუმბიელი მსაჯი იყო, რომელმაც გაუთავებელი სტვენით ტვინი წაიღო. რაც შეეხება საგოლე მომენტებს, მეორე ტაიმში ხეირიანი არაფერი შექმნილა ერთის გარდა — მაროკოელებმა კვლავ ძელი შეაწუხეს, თუმცა ამ მომენტში პრიუდომმაც ოვაციაა. ყველაზე საინტერესო კი მატჩის მიწურულს მოხდა, როცა აზმიმ და ვებერმა ვერ გაიგეს ოფსაიტის დამფიქსირებელი სასტვენი და ისე შეასკდნენ ერთმანეთს, ხორვატი კარგა ხანი ვერ ადგა, მეკარე კი ელექტროშობილით მოვიდნა გარეთ გადასვენეს. სწორედ ამან გამოიწვია ის, რომ მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში პირველად გუნდმა მესამე მოთამაშე გამოცვალა, რაც ახალი წესების (ორი მინდვრის მოთამაშე და მეკარე) წყალობით გახდა შესაძლებელი.

ზურაბ მეძველია

ნოეს კიდობანი

ნორვეგია 1:0 მექსიკა

7. E ჯგუფი, I ტური
ვაშინგტონი, 19 ივნისი

ნორვეგია: ტორსტვედტი, ბერგი, ბრატსეტი, პოლანდი, ბიორნებიუ, ფლო, მიუკლანდი (რეკდალი 79), ლეონარდსენი, იაკობსენი, ბოპინენი, ფიორტოფტი
მექსიკა: კამპოსი, სუარესი, პერალესი, ამბრისი, რამირესი, გუტიერესი (ბერნალი 70), დელ ოლმო, ვალდესი (გალინდო 46), ლუის გარსია, ზაგე, სანჩესი

1:0 რეკდალი (85)

გაფრთხილება: პოლანდი (18), ლეონარდსენი (26), სუარესი (62)
მსაჯი: შანდორ პული (უნგრეთი)

კონტრასტი თავისთავად გაბლავთ საინტერესო, ხშირად თავადაა ინტრიგა. მსოფლიო ჩემპიონატის ერთი ხიბლთაგანი ხომ ისიცაა, რაგინდარა ყაიდის გუნდებს რომ უყრის თავს და, დედა შვილს რომ არ აიკვანს, იმნაირ შეუხიბრებს ნაირფერ სანახაობად აქცევს. ერთი სიტყვით, მსოფლიო ჩემპიონატი საფეხბურთო ნოეს კიდობანია და, ღვთის მადლით, აგერ, ნორვეგია — მექსიკის მატჩიც ამის დასტურად.

ორივე გუნდის თამაშის ხარისხმა, ცალ-ცალკე და განყენებულად რომ განვიხილოთ, ნამდვილად არ დატოვა ურიგო შთაბეჭდილება. ამას იქნებ მექსიკელებისგან უფრო არ ველოდით, ამიტომ კუთვნილ საქებს ნუ დაეუშურებთ. რაც შეეხება ნორვეგიელებს, მათ პროგრესზე ბოლო ხანს იმდენს ლაპარაკობენ, ისინი კი ამას საქმით ამტკიცებენ, რომ ეს არც იყო მოულოდნელი. მოულოდნელი არც მეტოქეთა თამაშის ყაიდა გახლდათ: ბევრი ნორვეგიელი ინგლისის კლუბებშია გამოწვრთნილი, ტანადაც სულ დარჩეული ბიჭები არიან და, როგორ ფეხბურთს თამაშებდნენ, არ იყო ძნელი მისახვედრი. თანაც: მექსიკელთა ბევრით საპირისპირო მანერამ (ბუნებრივია, ამის გათვალისწინებამაც) უფრო გამოკვეთა და გაამკვეთრა ნორვეგიელთა „ბრიტანული ორიენტაცია" და თამაშიც ზოგჯერ ცოტა არ იყოს უცნაურ ელფერს იძენდა — ლამის იყო გეფიქრა, გუნდები სხვადასხვა სიბრტყეზე, სხვადასხვა სართულზე ეთამაშებიან ერთმანეთსო. აი, სწორედ ეს კონტრასტის ეფექტი იყო, ასე რომ მოუხდა ამ შეხვედრას, თუმცა მარტო კონტრასტი რომ ვერაფერი ბედნაა, ამაშიც ბევრჯერ დავრწმუნებულვართ. მაყურებლისთვის მთავარი და სხეირი ის იყო, რომ მეტოქეებმა „თავისი ფეხბურთი" ისე ითამაშეს, ოსტატობა არ დაეწუნებოდათ. ორივე გუნდში, მეკარეებით დაწყებული და თავდამსხმელებით გათავებული, არა ერთი იყო ისეთი მოთამაშე, გამორჩევას რომ იმსახურებდა, მაგრამ ერთს ისეთი ჯაფა დაადგა, ცოდვა არ გახსენოთ: მექსიკელთა ჩია მეკარე კამპოსი დიდ ბიჭებში ვარეულ პატარას ჰგავდა და მართლაც სამაგალითო იყო მისი თავგანწირვა აყლაყუდა ნორვეგიელებთან ბრძოლაში. თანაც, ესენი აუტს ისე აწვდიდნენ, კუთხურს არაფრით ჩამოუვარდებოდა და რაც იმ დღეს კამპოსმა ჰაერში დაჰყო, ბარე ათ მატჩში არ მოუწევდა. ყველაზე პარადოქსული კი ის იყო, რომ საწყალს ფეხით, ბალახის სიმაღლეზე დარტყმული ბურთი გაუვიდა. მეორე პარადოქსი ის იქნებოდა, თამაშის მიწურულს ნორვეგიელებს ზაგეს თავში მოხვედრილი ბურთი გაწყლოდათ, რაღაც სასწაულით რომ ასცდა მათ კარს.



სარბიელის რჩეული:
იან ოგე ფიორტოფტი
(ნორვეგია — მექსიკა)

თამაზ შენგელია

როჟე პაპას გარეშე

კამერუნი 2:2 შვედეთი

8. B ჯგუფი, I ტური
ლოს ანჯელესი, 19 ივნისი

კამერუნი: ბელი, ტატავი, კალა, სონგი, აგბო, ლიბიპი, ფოუ, მბუ-მბუ, მფედე (მბუანგი 88), ემბე (მუიემე 890), ომამბიკი
შვედეთი: რაველი, რ. ნილსონი, პ. ანდერსონი, ბიერკლუნდი, ლუნგი, ინგესონი (კ. ანდერსონი 72), შვარცი, ტერნი, ბლომკვისტი (ლარსონი 71), ბროლინი, დალინი

0:1 ლუნგი (8)
1:1 ემბე (31)
2:1 ომამ-ბიკი (47)
2:2 დალინი (75)

გაფრთხილება: მბუ-მბუ (5), დალინი (72)

თავიდან კამერუნელებმა, რომლებმაც შეხვედრა უხუცესი როჟე მილას გარეშე ჩაატარეს, დაარტყეს სახიფათოდ, შემდეგ

სარბიელის რჩეული:
მარტინ დალინი
(შვედეთი — კამერუნი)

კი მათმავე მბუ-მბუმ, რომელსაც უბრალოდ მბუდაც იხსენიებენ, ყვითელი ბარათი მიიღო. მე-8 წუთზე შვედმა ტერნმა მარცხნიდან ჯარიმა შეასრულა, ბურთი შორეულ ძელთან ჩაკიდა, სადაც ლუნგმა მეკარე ბელი უხეირო გამოსვლისთვის დასაჯა და თაურით ანგარიში გახსნა. აქედან მოყოლებული 16 წუთის განმავლობაში თამაში ვერ დალაგდა. ბურთი აქეთ-იქით საჯარიმოების მისადგომებთან იკარგებოდა, არ შექმნილა სახიფათო მომენტი, თითქმის არ შესრულებულა ლოგიკურ ბოლომდე მიყვანილი კომბინაცია. 24-ე წუთისთვის გუნდებმა მეტ-ნაკლებად შეაშფოთეს ერთმანეთი, შემდეგ კი თამაში ძველებურ ყაიდაზე გაგრძელეს. 31-ე წუთზე შვედების საჯარიმოს გასწვრივ მონსტერი აირია, ანდერსონმა იფიქრა, ბურთს ძლიერი დარტყმით მოვიშორებო და ცხვირწინ მდგომ ფოუს მოარტყა, რომელმაც კარგ მდგომარეობაში მყოფ ემბეს გადაუგდო. ემბემ ბიერკლუნდს დასწრო და ანგარიში გაათანაბრა. ამას შვედებმა სახიფათო კუთხური მოაყოლეს, მაგრამ ბროლინს თაური გაუცუდდა, 37-ე წუთზე კი კვლავ კამერუნელებს შეეძლოთ გოლის გატანა. კალას თავით დარტყმულს რაველი გაჭირვებით მიწვდა, მის უკან ჩასაფრებულმა ემბემ კი რატომღაც ფეხის უკუღმა აწევა არჩია.

ფრანგი მწვრთნელის ანრი მიშელის ბიჭებისთვის წარმატებული მეორე ტაიმის დასწყისი აღმოჩნდა. 47-ე წუთზე სონგმა ომამ-ბიიკს თავისი ნახევრიდან მეტოქის საჯარიმოსთან მიაწოდა ბურთი, მცველი ანდერსონი კვლავ შეცდა, კამერუნელთა ცნობილმა თავდამსხმელმა კი თავისი საქმე დიდებულად შესრულა.

ახლა შვედებს მოუწიათ ანგარიშის გასათანაბრებლად ბრძოლა. შვარცმა ჯარიმიდან ხუთ კაციან ცოცხალ კედელს კარგად შემოატარა ბურთი, მაგრამ ბელმა ოვარგა და მოიგერია, დალინს კალა ჩაუწვა და არდაარტყმევინა, ბროლინმა კვლავ სახიფათო ჯარიმა შეასრულა... ამ მომენტებს შორის ომამ-ბიიკმა ვერ გამოიყენა ანგარიშის გაზრდის საუცხოო შესაძლებლობა, საჯარიმოში მყოფმა დარტყმის მომენტი ვერ შეარჩია და ბურთი ბაზს გაღმა გაუშვა. 75-ე წუთზე კი ანგარიში გათანაბრდა. ახლადშესულმა ლარსონმა დაანლოებით ოცდაზუთი მეტრიდან ძლიერად დარტყა, ბურთი ხარიხამ უკან გადმოაგდო, დალინმა კი ყველას დასწრო.

ილია ბაბუნაშვილი

ლათინელთა პაზრიარქიც უნოდეს...

ჯერ კარებშიც არ შემოსულიყო, რომ იგი კვლავ აირჩიეს ფიფას პრეზიდენტად. ეს უცებ და უპრობლემოდ მოხდა. სიტყვა ითხოვა ფიფას ვიცეპრეზიდენტმა გილერმო კანედომ და შეკრებილთ ამცნო, ჟოაო აველანჟის გარდა სხვა კანდიდატი არც არსებობსო. „ვთხოვთ, რეაგირებას!" დასძინა კანედომ და კონგრესმაც აპლოდისმენტებით უპასუხა.

იგი მეექვსეჯერ აირჩიეს და ამ თანამდებობაზე აველანჟი 1998 წლამდე დარჩება. ფიფას კონგრესმა დაგვარწმუნა, რომ აველანჟს ამ ხნის განმავლობაში ევროპისა და ლათინური ამერიკის ორთაბრძოლაში აფრიკისა და აზიის ჩართვაც მოუწევს. ფიფას გენერალურმა მდივანმა ხეკ ბლატერმა აველანჟს „ლათინელთა პატრიარქი" უწოდა. მისი საფეხბურთო ოჯახი იმხელაა, რომ მას ვერავინ შეეცილება აღგილს. აველანჟმა თავის კვლავ არჩევას აპრილში გამართულ კონტინენტების საფეხბურთო გაერთიანებათა შეხვედრაზე ჩაუყარა საფუძველი. მანამდე მან ევროპაში მოგზაურა ძალიან, სადაც თავიდან საკმაოდ რამპარა ხასიათებსაც ამჟღავნებდა. ინტერვიუერებს, მაგრამ საბოლოოდ ასეთ რიგზე ამბობდა: ვერავინ ბაბეს.

აველანჟი, იმის სანაცვლოდ და მადლობის ნიშნად, რომ აფრიკის ფედერაციებმა 1974 წელს მხარი დაუჭირეს და ხერ სტენლი როუზის შემდეგ ფიფას პრეზიდენტი გახდა, 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, სადაც, სავარაუდოა, რომ მონაწილეთა რიცხვი 24-დან 32-მდე გაიზრდება, მათ მეოთხე ადგილს პპირდება. მაგრამ ევროპელებსაც ურთ მონაწილეთა გაზრდა 16-დან 18 გუნდამდე.

P.S. მე ვიცი, როგორ უყვართ საქართველოში ფეხბურთი, ამიტომ ჩემთვის სასიამოვნო იქნება „სარბიელის" მკითხველებთან ურთიერთობა.

ულრიხ ლოკე,
ჩიკაგოდან, საგანგებოდ სარბიელისთვის

STRIKER News

პირველ ტურში მოედნიდან გაძევებულები, ეკვადორელი ეჩევერი და ესპანელი ნადალი ორორ მატჩს გამოტოვებენ. ასე რომ, მათთვის ის უიღბლო თამაშები - შეიძლება ერთადერთიც აღმოჩნდეს ჩემპიონატზე.

შეუხიბრების პირველი ტური ლამისა ჩათავდეს, ტრიბუნები ყველა თამაშზე გადაჭედილია, ამერიკელთა უმეტესობა კი თურმე ჯერაც ტყეშალზე ხის და ხეირიანად ვერც გარკვეულა, თუ რა სახის შოუ ტარდება მათს ქვეყანაში. ეს ცხადყო გელაპის ინსტიტუტის მიერ მოწყობილმა გმოკითხვამაც. მისი შედეგები თანხმად, ამერიკელთა ორი მესამედი აბსოლუტურად გულგრილია ევროპული ფუთბოლისადმი.

სამაგიეროდ, სულ სხვაა მათივე ფუთბოლი, რომლის გადაკეთებულ-გაგანიერებულ მოედნებზე იმართება ჩემპიონატის მატჩები. საქმე ისაა, რომ ამერიკული ბურთაობის სეზონი სექტემბრიდან იანვრამდე გრძელდება, ახლა კი ფეხბურთი რომ არა, სტადიონები მოცდებოდნენ. იმდენად დიდია ბურთაობის გავლენა ამერიკელთა ჭკუა-გონებაზე, რომ ჩემპიონატის კეირაძალს საატიო მრავალგვერდიანი ყოველდღიური გაზეთების სპორტის ნაკვეთებში ევროპელი ფეხბურთის წესების მოკლე გზამკვლევები დაიბეჭდა. დაინტერესებული მკითხველი იქედან შეიტყობდა, რომ თუმც ევროპულ ფეხბურთსაც 11 კაცი თამაშობს, მაგრამ ერთი სვებედნიერის — ე.წ. მეკარის გარდა ბურთისთვის ხელის ხლება სხვებს არ შეუძლიათ. ამერიკელთათვის აღმოჩენა იქნებოდა ისიც, რომ ბურთის გატანა ერთადერთი ხერხით შეიძლება და ყოველგვარი გოლი თანაბრად — ერთ ქულად ფასობს.

მთლად კურიოზული ამბები მოხდა ჩემპიონატის გახსნის დღეს. მოვლენა აშკარად დაჩრდილა ამერიკული ბურთაობის ყოფილი ვარსკვლავის, „ბუფალო ბილზის" მოთამაშის ო.ჯ. სიმფსონის ოჯახურმა ამბავმა. იგი, აწ უკვე ცნობილი მსახიობი და ტელეკომენტატორი, პოლიციას უხმია ჩვენების ჩამოსართმევად, რაკიღა მისგ ცოლყოფილი და ოჯახის მეგობარი კაცი დახოცილები უპოვნია. სიმფსონი არ გამოცხადებულა პოლიციაში, ხოლო რიცა ჩაფრენები თავს დასცემიან, მანქანაში ჩამჯდარა და გაქცეულა. ტელეარხებსაც ეს უნდოდათ: დევნა და შეპყრობა პირდაპირ გადაუცია ეთერში. ერთი სიტყვით, აველანჟს, ბლატერსა და კომპანიას, როგორც ჩანს, ვერ გაუთვლისწინებია ბენიტო მუსოლინის გაკვეთილი; იგი აბისინიას ხომ იმ დროს შეესია, ამერიკელი საზოგადოება ამერიკული ბურთაობაზე მსჯელობით რომ იყო გართული!

ფათერაკები გადახდა ნიგერიის ნაკრებს. ამ ქვეყანაში ახლა დიდი ამბოხია, რაკიღა სამხედრო ხელისუფლებამ შარშან არჩევნები ჩაშალა და გამარჯვების მოაპარ პრეტენდენტ მაშუდ აბიოლას პრეზიდენტობა არ დაანება. ჰოდა, დემოკრატიის ქომაგმა ამერიკელებმაც ვითომც ნიგერიელი ხალხის საშველად, მათს ქვეყანას ნაირგვარი სანქციები დაწესეს, ფეხბურთის გუნდს კი ვიზათა მიცემა გაუჯანჯლეს. გუნდმაც ნახევარი დღე იყურყუტა ლაგოსის აეროპორტში და თუმც დალასში ერთობ გვიან ჩაფრინდა, იქ გულშემატკივართა რიცხვმრავალი რაზმი მაინც შეეგება. გარდა ამისა, ნიგერიის ჰოლანდიელი მწვრთნელი ფენტერპოფი წაკიდა ქვეყნის ფეხბურთის მამებსა და გუნდის მშვენება რაშიდი იეკინის, რის გამოც მათთან ერთად მგზავრობა არ ისურვა.

ბევრს წერენ ამერიკის გუნდზეც, რომელიც, ცოდვა გამზელილი სჯობს, სანახევროდ დილეტანტებისაგან შედგება. ერთი მათგანი ყოფილა 22 ნომერი ალექსი ლალასი, რომელიც თურმე როკ-მუსიკოსია და საკუთარი ჯგუფიც ჰყავს, ფირფიტებსაც წერს და, საერთოდ, ფეხბურთს სასწავთაშორისოდ თამაშობს. არადა, ლალასი აშშ — შვეიცარიის მატჩში მოედანზე საუკეთესოთაგანი იყო.

ქელე და ტერორისტები

ვინაიდან ბრიტანეთის არცერთი ნაკრები არ მოხვდა მსოფლიოს ჩემპიონატზე, დედოფლის ქვეშევრდომთა უმეტესი ნაწილი მეზობელი ირლანდიის ქომაგობაზეა გადასული. ადგილობრივი გაზეთებიც უდიდეს ადგილს უთმობენ ჯეკი ჩარლტონის პირველ გამარჯვებას. საერთოდ, იტალიის ნაკრების ჯერ კიდევ ამერიკაში ჩასვლის რეპორტაჟებიც კი გაჟღენთილი იყო იუმორით. საქმე ისაა, რომ ბაჯიო და მისმა მეგობრებმა ჩემპიონატისთვის ვარჯიშის გარდა დიდი ყურადღება დაუთმეს ჩაცმულობასა და ვარცხნილობას. მათი მხოლოდ კოსტიუმები 200 ათასი დოლარი დაჯდა, ხოლო ნიუ-იორკის აეროპორტის მეპატეებმა „სკუადრა აძურას" ბარგში 80 ბიდონი... თმის ჟელე აღმოაჩინეს. ვარცხნილობა იქით იყოს, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონთა თამაში კი ჯერჯერობით მართლაც უბადრუკად გამოიყურება. არიგო საკი მართლაც ვერაფერი მოუხერხა ირლანდიელებს, რომელთაც ყველას გასაკვირად, სამჯერ მეტი მხარდამჭერი აღმოუჩნდათ ტრიბუნებზე, ვიდრე იტალიელებს. ენდი თაუნსენდს ისიც კი უთქვია, თავი დუბლინში მეგონო. ალბათ ამნაც დააბნია ჯანლუკა პალიუკა, ვინც მატჩის შემდეგ განაცხადა: ამდენი წელია ვთამაშობ და მსგავსი მდგომარეობიდან ვიბნეს დაერტყას, არ მინახავსო. მართლაც მშვენიერი დარტყმა გამოუვიდა პავთონს, თუმცა მთლიანობაში ირლანდიის გამარჯვებას შემთხვევითს ვერავინ უწოდებს და ამიტომაცაა, რომ ლონდონის ბუქმეიკერებმა ირლანდიის ჩემპიონობაზე ფსონები სასწრაფოდ დაუწიეს და 25-ის მაგივრად ახლა 16-ს იხდიან. სამწუხაროდ, იტალია-ირლანდიის მატჩი უკანასკნელი გამოდგა ექვსი ჩრდილოირლანდიელი გულშემატკივრისთვის — თამაშის დროს ამ ქვეყნის ერთი პატარა ქალაქის პაბში, სადაც მატჩის ტელერეპორტაჟს უყურებდნენ, ტერორისტები შევარდნენ და სროლა ატეხეს. 6 დაღუპულის გარდა ხუთი გულშემატკივარი მძიმედ დაიჭრა.

დავით მჭედლიშვილი,
„სარბიელის" ლონდონელი
კორესპონდენტი

სარბიელი

ფეხბურთის მოყვარულთა ახდენილი ოცნება!

გაზეთ «სარბიელისა» და სააქციო საზოგადოება «სასტუმრო აჭარის» კლუბი «მესეფი»

მსოფლიოს ჩემპიონატის ყველა მატჩის პირდაპირი რეპორტაჟი ორ პარალელურ არხზე!

შიდასაკაბელო ქსელის საშუალებით ნებისმიერი მატჩის ვიდეოჩანაწერის ჩვენება სტუმართა სურვილით!

დენის გამორთვა დაზღვეულია ავტონომიური ენერგომომარაგების სისტემით!

თანამედროვე დონის კაფე-ბარის მრავალფეროვანი ასორტიმენტი!

პირველხარისხოვანი სერვისი და მაქსიმალური კომფორტი!

გაზეთ «სარბიელის» ტოტალიზატორი CROCO !

ერთჯერადი ბილეთის ფასია 3 000 მანეთი

გვეწვიეთ სასტუმრო «აჭარის» მე-18 სართულზე

ფეხბურთი

საქართველო – «პალმეირასი»

თბილისის „დინამოს“ დირექტორატის თავზეანი ნებართვით საქართველოს ეროვნული ნაკრები დღეს ბაზაზე მოემზადა ბრაზილიის „პალმეირასთან“ 21 ივნისს ბათუმში შესახვედრად. სწორედ აქ მოვიახულეთ ნაკრების მთავარი მწვრთნელი ალექსანდრე ჩივაძე.

— რა შემადგენლობით მიემგზავრებით ბათუმს?

— მეკარეები: ზობაძე, გრიშიკაშვილი, მცველები: ბერაძე, ლობჟანიძე, ცხადაძე, შელია, გია ჯიშკარიანი და ტყემალაძე, ნახევარდაცვისა და შეტევის მოთამაშეები: ინალიშვილი, ჯამარული, ნემსაძე, რეზო არველაძე, ქინქლაძე, შოთა არველაძე, კაპარავა, დავით ჯანაშია.

— რამდენი ვარჯიშის ჩატარება მოასწარით?

— 17, 18 და 19 ივნისს სრულფასოვნად ვივარჯიშეთ. 20 ივნისს, გამგზავრების დღეს კი დილით მსუბუქად წავივარჯიშეთ.

— რა იცით მეტოქეზე?

— სამწუხაროდ არაფერი.

— 26 ივნისს რიგაში კიდევ ერთ ამხანაგური თამაში გელით ლატვიის ნაკრებთან...

— „პალმეირასთან“ შეხვედრის მეორე დღეს გამოვემგზავრებით თბილისში, 23 ივნისს რიგას გავფრინდებით, 26-ში ვითამაშებთ და მეორე დღეს უკან გამოვემგზავრებით.

— რამდენადაც ვიცი, ესტონელებთან შეხვედრაც გაქვთ დაგეგმილი.

— ლატვიასთან თამაშის შემდეგ თბილისის „დინამო“ — ნაკრების ძირითადი ბირთვი, ჩეხეთს მიემგზავრება მოსამზადებელი პერიოდის და ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად, იქიდან გერმანიაში გადავა და ორ ძლიერ კლუბთან „ზაარბრიუკენთან“ და „აინტრახტთან“ ითამაშებს. თბილისში დაბრუნებისთანავე შეკრებთ ნაკრებს და 24 აგვისტოდან უშუალოდ მოლდოვასთან მატჩისთვის დავიწყებთ მზადებას. ორკვირიანი მოსამზადებელი ციკლი გვექნება. ესტონეთის ნაკრები ალბათ ჩვენი ბოლო სპარინგ-პარტნიორი იქნება ამ უმნიშვნელოვანესი მატჩის წინ.

— მოლდოვის ნაკრებზე რაიმე ინფორმაციას თუ ფლობთ?

— სამწუხაროდ არავითარს. ამაში თქვენი, ჟურნალისტების იმედიც მაქვს, თუ-ორიული ხასიათის ინფორმაცია მაინც უნდა მოგვაწოდოთ მეტოქეზე. რაც მეტი გვეცოდინება — მით უკეთესი. რა თქმა უნდა, უსაქმოდ არც ჩვენ ვისხდებით და შეძლებისდაგვარად მოვიპოვებთ ვიდეო თუ სხვა ინფორმაციას.

— ნიგერიასთან დამარცხების შემდეგ ბიჭებმა თუ დასძლიეს ფსიქოლოგიური შოკი?

— ვფიქრობ მათ ეს შეძლეს. რაც უფრო ახლოვდება 7 სექტემბერი, მით უფრო ნაკლები უნდა ვიფიქროთ განცდილ მარცხებზე. ფსიქოლოგიურად მხოლოდ მოგებისთვის უნდა განვწყოთ.

— მსოფლიო ჩემპიონატიც ალბათ გარკვეულ დახმარებას გაგიწევთ.

— რა თქმა უნდა, ამაზე კარგ სკოლას სად ვნახავთ. ყოველი მატჩის და ყოველი გუნდისაგან რაღაცას სწავლა შეიძლება.

— რა გენიშნათ მსოფლიოს ჩემპიონატში, მის სტარტზე?

— პირველი, რაც თვალში მოგვხვდა, ჩინებული ფიზიკური მომზადებაა. მთელი მატჩის განმავლობაში, მიუხედავად პაპანაქება სიცხისა, ფეხბურთელები თავდაუზოგავად იბრძვიან, თანაც მაქსიმალურად იყენებენ სტანდარტულ სიტუაციებს, ესეც ხაზგასასმელი მომენტია.

— თავდ ვის გულშემატკივრობთ?

— მხოლოდ და მხოლოდ ფეხბურთს!

— მაინც რომელ გუნდს გამოჰყოფდით?

— მსოფლიოს ჩემპიონატზე სუსტი გუნდი არ არსებობს და მაინც, აღფრთოვანებული ვარ რუმინელთა მაღალი საშემსრულებლო ოსტატობით. მათი ლიდერის პაჯის გოლი ხომ დიდი ფეხბურთის ჭეშმარიტი გაკვეთილი გახლდათ, არც რადუჩოუ და სხვა ფეხბურთელები არიან ნაკლებნი. მოკლედ ბედმა გაგვიღიმა, მსოფლიო ჩემპიონატი ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი მატჩების წინ რომ მიმდინარეობს.

P.S. ორიოდე სიტყვა ჩვენს მეტოქე „პალმეირასზე“. გუნდი სან-პაულუს შტატის წლევანდელ ჩემპიონია და მისი სამი ნახევარმცველი: 27 წლის ზინინო და 28 წლის მაზინიო ბრაზილიის ეროვნული გუნდის შემადგენლობაში, ფრედი რინკონი კი კოლუმბიის ნაკრებში მსოფლიო ჩემპიონატზე იმყოფებიან.

ბოლოს აღსანიშნავია კახი ცხადაძის ქველმოქმედება. მან საკუთარი ხარჯით შეიძინა და ნაკრებს გადასცა სათამაშო ფორმის ორი კომპლექტი.

მამუკა კვარაცხელია

ჟალამბურთი

ისევე, როგორც NHL-ში, NBA-ს ფინალშიც ბევრი ბოლო, მეშვიდე თამაშამდე მივიდა. სამი შეხვედრის შემდეგ „პუსტონი“ 2-1 ლიდერობდა, მაგრამ 15 ივნისს „ნიქსმა“ „ფილადელფია-ში“ 9'ით მოიგო და სერიის ანგარიში გათანაბრა. 17 ივნისს იქვე მოეწყო მეხუთე შერკინება, რომელშიც ნიუ-იორკელმა იუინგმა 25 ქულა და 12 მოხსნა მოითვალა, ჰიუსტონელმა ოლაჯუონმა კი 27 ქულა მოიმკო. „ნიქსმა“ 91:84 გაიმარჯვა და 3-2 დაწინაურდა, მაგრამ მეექვსე და მეშვიდე თამაშები სტუმრად უნდა ეთამაშა. მართლაც კვირას, 19 ივნისს ოლაჯუონმა შინ 27 ქულა მოაგროვა და „პუსტონმაც“ 86:84 მოიგო. ამ დღეს კენი სმიითმა სულ 7 ქულა ჩაგდო, მაგრამ ზედ საფინალო სირენის წინ სამქულიანი მასპინძლებს გაამარჯვებინა. სერიის ანგარიშია 3-3, ბოლო თამაში კი ხვალ, ოთხშაბათს, 22 ივნისს გაიმართება. თუ „ნიქსი“ გაიმარჯვებს, ნიუ-იორკი გახდება პირველი ქალაქი, რომელსაც პოკეისა და კალათბურთის გუნდები ჩემპიონად ერთდროულად ეყოლება.

შემდგომი დაფა

ფეხბურთი

საქართველოს ჩემპიონატი
პირველი ჯგუფი

XVII ტური. 15 ივნისი

ტორპედო 2:1 გურია
სამგრედია 4:1 ივერია

ბოლო, XVIII ტური. 18 ივნისი

მარგვეთი 0:3 სამგრედია
ივერია 0:3 შევარდენი
კოლხეთი 5:1 დინამო
დილა 0:2 ტორპედო
გურია 2:4 გათუში

დინამო	18	16	0	2	51-16	48
კოლხეთი	18	14	2	2	51-20	44
ტორპედო	18	9	4	5	33-22	31
სამგრედია	18	9	2	7	31-23	29
ბათუმი	18	8	4	6	32-24	28
შევარდენი	18	6	3	9	28-26	21
გურია	18	5	2	11	30-50	17
მარგვეთი	18	4	3	11	22-41	15
დილა	18	4	2	12	12-35	14
ივერია	18	3	2	13	14-47	11

XI-XIX ადგილები

ბოლო, XVIII ტური. 16 ივნისი

მეტალურგი 5:3 სამგურალი
მაღარელი 3:5 ალაზანი
მრეტები 1:6 ოდიში
კახეთი 6:3 შუქურა

მეტალურგი	16	10	0	6	43-19	30
ოდიში	16	9	2	5	38-19	29
საპოვნელა	16	9	2	5	28-23	29
სამგურალი	16	9	1	6	27-29	28
კახეთი	16	9	1	6	45-32	28
ალაზანი	16	8	3	5	25-25	27
შუქურა	16	7	1	8	18-29	22
მაღაროელი	16	4	2	10	27-47	14
მრეტები	16	0	2	14	11-39	2

რაგბი

სარაგბო ფეხბურთი ნაწვიმარზე

საქართველოს ჩემპიონატი

ხუთშაბათი, 16 ივნისი. ვაკე. ნაწვიმარი

მერკური 21 (3) — აია 8 (8)

მერკური: ნ. იურინი; ხაჩიძე (გ. ციცაძე, 31), ძნელაძე, ჩაჩუა (დევნოზაშვილი, 82), სორდია; მოდებაძე, ჯანელიძე; ჩიქავა, თურქაძე, პატარაია; ტყეშელაშვილი, ნადირაძე, პარნიკანაშვილი, აბდალაძე; დიდებულიძე. — 2ლ: ჩაჩუა (42), ტყეშელაშვილი (59); გ: მოდებაძე (59); 2ხ: მოდებაძე (15), იურინი (71); ა: მოდებაძე (75)

აია: შანიძე; გულვერდაშვილი (ჩხაიძე, 50), ვ. ძაგნიძე, გაბრიჩიძე, ჩუბინიძე; ტყაბლაძე, მაღლაკელიძე; ხახალეიშვილი, გიორგაძე, ბაბუნაშვილი; ფხაკაძე (სოფრომაძე, 41), პ. სანებლიძე, ოდიშარია, გოგისვანიძე; ზვ. ლიპარტელიანი. — ლ: ძაგნიძე (19); ხ: ჩუბინიძე (30)

მსაჯები: ღიბრაძე (40 + 42); აბაშიძე და ნარიმანაშვილი

ლიდერ „აიას“ მეორე თბილისური მინი-ტურნე პირველივით უდანაკარგოდ ვერ დასრულდა — ჭეთათურებს „მერკურმა“ მოუგო.

იმერლებს აკლდათ ნაშვეიცარიალი ნ. ძაგნიძე. სამაგიეროდ, შეკმაუბოდათ ნაპოლონეთარი ბურჯი ბაბუნაშვილი, აგრეთვე ორი კანახაზელი — ტყაბლაძე და ძაგნიძის უმცროსი ძმა ემზარი. „მერკურს“ ბოლოსდაბოლოს შეეერიბა ოპტიმალური შემადგენლობა: რვა ნომერ დიდებულიძეს მოტეხილი კოჭი მორჩენოდა, მცველად კი თამაშობდა იურინი, რომლის მოსკოვის „ფილში“ გადასვლა-მივლინება გუნდს პირველ ტურებში ერთობ დაუტყო.

ექვსს თხუთმეტი რომ აკლდა, თამაში მაშინლა დაიწყო. არადა, იმ დღეს შუადღიდან გადაუღებლად წვიმდა, რის გამოც მოედნის დახაზულობა წაშლილიყო. ჭეთათურებმა მართებულად შენიშნეს, ასეთ ვითარებაში თანამსაჯობა გუნდების სათადარიგოებს არ უნდა მიეწყოთ, თორემ ვინ იცის, რას იკადრებენო. ამიტომ იყო, მოედნის კიდეებზეც ხელდასხმული მსაჯები რომ ვიხილეთ. რაკილა მათი მოფრთხილება ჩვენს სარაგბო საზოგადოებრიობას საკუთარი თვალის ჩინივით მარჩუნებს — თორემ ჩემპიონატი ჩაშლება, — უთუოდ ამიტომ იყო, ერთს თავზე პლაჟის პანამა რომ დაბურეს, მეორეს კი — ქალაქური კეპი.

ავდრის კვალობაზე თამაში კარგი გამოვიდა. „აია“ თითქმის მთელი მატჩი თავს იცავდა. მასპინძელთა მორკინალები, მეტადრე კი ნადირაძე, დერეფანშიც ყოჩაღობდნენ და ღია თამაშშიც, უკანა ხაზის ერთბაშად ოთხი მოთამაშე — იურინი, მოდებაძე, ჩაჩუა და ძნელაძე კი ხშირ-ხშირად და საკმაოდ აზრიანადაც ბურთს ფეხს ურტყამდნენ, სარგებლობდნენ რა მოედნის ზედაპირის მდგომარეობით. გარდა ამისა, იურინი მისთვის ჩვეულ ავანტიურებსაც ხშირად მიმართავდა, რითაც ერთობ აბალისებდა დამსწრე საზოგადოებრიობას.

„აიამ“ ნახევარი თამაში ერთი ელლითი მოიგო — მასპინძელთა მარკვენა გარემარბის უხეირო დარტყმას დაუფარა და ამის კვალად გამართულ ფეხბურთში კურიოზული ელლოც გაიტანა. ზედ შესვენების წინ „მერკური“ მეტოქის ელლოს არავრთგზის მიეახლა, მსაჯმაც უმცირესობის წესის მარჯვედ გამოყენებით ზედიზედ საგზის (!) ადროვა შეტანა, მაგრამ სულ აშაოდ: მასპინძლებმა კარში დარტყმა რომ გადაწყვიტეს, ბურთს ისე ქარაფშუტულად დაკრეს, რომ მაყურებლები აქირქილდნენ. აი, დარტყმამდე კი სტუმრებმა მსაჯს ზემოთხსენებული წესის გაზრდა არ მოუწონეს და კარგა ხანსაც ედავნენ.

თამაშის განახლებისთანავე „მერკურმა“ მშვენიერი ელლო გაიტანა. ერთი იერიშის მანძილზე სამჯერ გადააჯგუფა ძალები და ნადირაძის, ჩიქავას, მოდებაძისა და ჯანელიძის ამაგი ჩაჩუას ელლოთი დაფასდა. გარდასახვა გაცუდებული საკარიმოს ასლი გამოდგა — 8:8.

თამაშის იერი არც მერე შეცვლილა, თუმც გადამწყვეტი ელლო უფერული გამოვიდა: თურქაძემ მეტოქის დარტყმას დაუფარა, ტყეშელაშვილმა კი იმარჯვა. გამოხდა ცოტა ხანი და „მერკურმა“ მესამედაც უკულმართად დარტყა კარისკენ.

ბოლო ათ წუთში, როცა ისევ წამოიინწლა, მასპინძელთა დამრტყმელებმა, როგორც იქნა, ივარგეს: ჯერ იურინმა 40 მეტრიდან ძლიერად დაკრა ბურთს, მერე კი მოდებაძემ ზუსტად შეაფასა ვითარება და ეფექტური არეკნი შეაგდო. ამ ორმა დარტყმამ „აიას“ მოგების იმედი საბოლოოდ გადაწურა და პრესტიჟის ელლოს გასატანად შეატევინა, მაგრამ სტუმრები ველარას გახდნენ.

პირველი ჯგუფი

სამ, 14. VI. მეხამე მასივი

ელლო 10 (0) — აია 20 (13)

ელლო — ლ: ნამორაძე; გ: ქავთარაძე; ს: ურუშაძე. აია — 3ლ: ფხაკაძე, ტყაბლაძე, ჩუბინიძე; გ, ა: ტყაბლაძე. მსაჯი ღიბრაძე

ოთხ, 15. VI. ვაკე

ყოჩეგი 33 (28) — შევარდენი 0

ნლ: ჭელიძე, ჯანაშვილი, საკანდელიძე, თეზელაშვილი, კაპანაძე; 4გ: კობახიძე-3, ბარძიმიშვილი. მსაჯი აბაშიძე

	თ	მ	ფ	ნ	—	ბ	ლ	ქ
აია	6	5	0	1	-	124:58	14	10
აზოტი	4	3	0	1	-	164:58	24	6
თბილისი	4	3	0	1	-	93:33	13	6
მერკური	5	3	0	2	1	136:57	19	5
ელლო	4	1	0	3	-	69:102	10	2
ყოჩეგი	4	1	0	3	-	67:149	8	2
შევარდენი	5	0	0	5	1	32:228	2	-1

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობითა და პარასკევობით
ინდექსი 66441
რაიონებისთვის გაზეთის ფასი სახელშეკრულებოა

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. ტელეფონი: 39 48 29
წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსში; ზოშარაულის 29

დამფუძნებელი:
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფიცხელია
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედკოლეგია: გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, ზაალ გიგინეიშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ზურაბ მეძველია, მამუკა ჩიხლაძე (პასუხისმგებელი მდივანი)